

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №4

ქ. აბაშა, 2019 წლის 25 აპრილი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, კოკი ჩაჩავა, ზურაბ შუბლაძე
და მერაბ მელია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბენია პიტავა, ზაზა გაბელაია და შოთა
ჭანტურაია.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის
თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების
განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის N3
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს: გ.კუპრავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში
2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გ.კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს: გ.კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აზრი გამოთქვას: ე.ნოდიაშვილი და მ.მელიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

დადგენილების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს :

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გ.კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვას: გ.კუპრავამ, კ.ჩაჩავამ და ზ.შუბლაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: გ. კუპრავა